ქუთაისის შემოვლითი გზის E60 აღმოსავლეთ-დასავლეთის

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გახსნა

- 2014 წლის 19 ნოემბერს ქუთაისთან ახლოს გაიმართა ქუთაისის შემოვლითი გზის E60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გახსნის ცრემონია.

- პრემიერ-მინისტრის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბატონი დავით შავლიაშვილის, იაპონიის ელჩის ბატონი ტოშიო კაიტანის და სხვა ოფიციალური პირების სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ახალ გზაზე მოეწყო ავტომანქანებისა და მოტოციკლეტების სვლა.

- ავტომაგისტრალის მშენებლობისათვის იაპონიის მთავრობამ, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) საშუალებით, საქართველოს მთავრობა დააფინანსა კრედიტით. სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა იაპონური ფირმების შპს „პადეკოს“, შპს „ტაკენაკას“ და იტალიური ფირმა „ტოდინის“ მიერ.